

82
1920 33
1920/2

წასი 17 მ.



საბრალტო მურისკა.

№
26

1920 წ.
მაისის 16



5.8



646



უხათაურა

ახლაც ერუანტელი მივლის, ეს ამბავი რომ მაგონდება.

მაისის 9-ს, ე. ი. გასულ კვირას, „ეშმაკის მათრახის“ სარედაქციო კოლეგია—ბ. ეშმაკი, მხატვარი სანდრო და მე—ნაშუალამევის 1 საათამდე შევრჩით რედაქციაში.

მორიგი ნომრის სურათების თემები დიდი ხანია მზად გვქონდა, მაგრამ მაისის 26-ის ნომერმა გაგვიჭირვა საქმე. ვერ იქნა და ვერ! ვერ მოვიფიქრეთ ისეთი სურათი, რომ ერთსა და იმავე დროს ჰუმორიც ყოფილიყო შიგ და ჩვენი დამოუკიდებლობის ღირსშესაფერი აღნიშვნაც. სწორედ რომ ილაჯი გაგვიწყდა.

— ვგრე არ შეიძლება, მეგობრებო, — გამოაცხადა ბოლოს მხატვარმა სანდრომ: ჩვენ მხოლოდ ვუშლით ერთმანეთს! მოდიოთ, ცალ-ცალკე ვიფიქროთ, თორემ ასე ერთად ლაპარაკისაგან არა გამოვარა!

სანდროს აზრი დაგვიჯდა ქუაში და მაშინვე გავცალკევდით: ეშმაკმა ფანჯარასთან დაიდგა სავარძელი და სახელურებზე დაყრდნობილ ხელებს ჩამოადო თავი. სანდრო ტახტისკენ გაეშურა, ხოლო მე იქვე დავრჩი, მაგიდასთან...

არ გასულა ორი წუთიც, რომ ეშმაკის მხრით რაღაც უცნაური ხმა შემომესმა, თითქო ვილაც ცხელ ფაფას უბერავდა თანასწორ დრო ჩაგდებით:

— ფ-ფ-ფ!.. ფ-ფ-ფ!.. ფ-ფ-ფ!..

— კაცო, რას შვრები? — მივაძახე მე. მან ხმა არ გამცა და ისევ განაგრძობდა ფაფის ბერვას, სამაგიეროდ სანდრომ წაიბუტბუტა რაღაც გაურკვევლათ.

— რაო? — ვკითხე მე.

მან ისევ იმ გვარივე ბუტბუტით მიბასუხა. ეხლა კი მივხვდი, რომ ორთავეს დასძინებოდა და, ცოლფა გატეხილი სჯობია, არც თუ მწყენია, ან უკეთ რომ ვსთქვათ, თუ მეწყინა მხოლოდ ის, რომ იმათ მომასწრეს. მეც მაშინვე მაგიდას ჩამოვადევი თავი.

სულ რაღაც ნახევარ წუთში შორეული სტვენა მომესმა. ეს სტვენა გამეორდა, კიდევ და კიდევ, და ბოლოს სადღაც ტვინის კუნჭულში მივხვდი რომ ეს ჩემი ცხვირის სტვენა იყო, მე სანახევროთ მეძინა კიდევ და იმავე კუნჭულში გულიანათ გაშეცინა...

რამდენ ხანს გვეძინა, — არ ვიცი. გამოგვაღივძა ყვირილმა და საშინელმა ხმაურობამ. თვალები მოვიფშვინიტეთ, დავინახეთ, რომ ჩვენი ოთახი შეიარაღებულ ხალხით იყო სავსე. ხელში ყველას მაუზერები ეჭირა და ჩვენ გვიმიზნებდნენ. ერთი მათგანი ყველაზე წინ იდგა და გვიყვიროდა:

— თქვენი მთავრობა დაეცა!.. დაგვენბდით!.. იარაღი თუ გაქვთ ჩავვაბარეთ!.. ხელები ზევით ასწიეთ!.. გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!..

მე, რა თქმა უნდა, მაშინვე შევასრულე ბრძანება, ხელები მალე ავწიე და ჩემს მეგობრებს გადავხედე: ისეთი ფერი ედოთ საბრალოებს, რომ ასე გეგონებოდა, ვილაცას ლიმონივით გამოუწურავო, მაგრამ ფერი რა არის! თვალები უნდა გენახათ მათი, თვალები: იმოტოლა გახდომილათ და ისე წამოსვლილათ წინ, რომ მე ველარც კი ვუტკირე მაშინვე ბარი ვიბრუნე, ვირგძენი რომ მეც იმათ ყოფაში ვიყავ, ჩემი თვალებიც ერთი გოჯით მაინც წინ იყო წამოსული და ხშირ ხშირათ ვხუტავდი მაგრათ, — არ გადმომცვივდეს მეთქი.

— მაშ ესენი არიან? ჰკითხა იმავე წინამძღოლმა მეორეს.

— ჰო, ესენი ყოველ ნომერში გვლანძღვდნენ. ტილებს გვიხატავდნენ, ლენინი ხონტქარს დასაქურისებინეს... გაგვამასხარავეს!

— დავხვრიტოთ!

— ჩახმახების წკაპა-წყუბი გაისმა — უფრო გულში, ვიდრე ყურში და ჩვენ სამნი ერთი კაცივით ჩავიკეცენით...

— რა, არ მოგეწონათ? ხარხარით გვკითხა წინამძღოლმა.

— არ... არ... არა!.. წავილოდლოდეთ ჩვენ.

— აქვე დავხვრიტოთ, თუ წავიყვანოთ, ამხანაგებო? ჰკითხა წინამძღოლმა.

— აქვე! აქვე! აქვე! — ერთხმით უპასუხეს სხვებმა.

„შიში შეიქმს სიყვარულსაო!“ უთქვამს ჩვენს შოთას და ძალიანაც მოტყუებულა. ჩვენ რომ იმ დროს შიშის ზარსა ვგძნობდით, თუ შოთას სიტყვები მართალი ყოფილიყო, ისეთი სიყვარული უნდა აგვთებოდა გულში ჩვენი მკვლევლებისადმი, როგორსაც, სულ ცოტა რომ ვთქვათ, რომეო განიცდიდა ჯულიეტასადმი, ან კიდევ — რითონ ტარიელი ნესტანისადმი. ჩვენი გრძნობა კი, ამას სრულიად გულწრფელათ ვაცხადებ, არც ერთ დასახელებულ გმირთა გრძნობას არ ჰგავდა.

უცებ წინამძღოლი მიტრიალდა თავის ამხანაგებისაკენ და უთხრა:

— ამხანაგებო! მე ერთი აზრი მომივიდა: ესენი მწერლები არიან, ჰუმორისტები. მოდიოთ, ამათ, ჩვენი წესისამებრ, რეკვიზიცია ვუყოთ!

— როგორ? როგორ? — შეეკითხენ ამხანაგები.

— როგორ და, ვუბრძანოთ განგრძონ თავიანთი მოღვაწეობა, კვლავაც გამოსცენ „ეშმაკის მათრახი“, მაგრამ ეხლა კები შეაბრუნონ და ისეთივე სიმძაფრით და დაუნდობლობით გაჰკილონ და გააბახონ თავიანთი მთავრობა და საქართველო, როგორც აქამდისინ ჩვენ დაგვცინოდნენ. ერთი სიტყვით, ჩვენ გვემსახურონ!

ამხანაგები დაეთანხმენ.

— პირველი ნომერი ასეთი ჟურნალისა ეხლავე შეადგინონ, აქვე!

კეთილი! კარგია! კარგი!—დასძახეს სხვებმა.

— აბა, — მოგვმართა ეხლა ჩვენ წინამძღოლმა — გვიპატივებია: აღარ დაგზოცავთ. ოღონდ ეხლავე დასხედით და ხვალ დილაშდგე შეადგინეთ ისეთი ნომერი, როგორც თქვენს ახალ მდგომარეობას შეეფერება. ჩვენ წავალთ აქედან და კარებთან ხუთ შეიარაღებულ ამხანაგს დაგიყენებთ დარაჯებათ!

მართლაც მაშინვე წავიდნენ. ოთახის კარები დაგვიკეტეს და მარტო დაგვტოვეს.

ჩვენ კარგა ხანს ვიდგეთ გაქვავებულებივით, შემდეგ ერთმანერთს შევხედეთ და სამთავემ ერთსა და იმავე დროს ამოვისუნთქეთ ისე ღრმად და ხმაურთანა, რომ ორთქლმავალის ქშენა გვეგონებოდათ.

ათიოდე წუთის განმავლობაში ხმა ვერ ამოგველო. ნელნელა ფერზე მოვედით, თვალებიც თავ-თავის ბუდეში შებრუნდნენ და ცოტ-ცოტათი მოგვჯობინდით.

- აბა შევუდგეთ! — წარმოვსთქვი მე.
- რას? — შემეკითხნენ მეგობრები.
- ნომრის შედგენას!

მაგიდას შემოვესხედით და დავიწყეთ მუშაობა. (გაგრძელების დაწერა ევალეზა ეშმაკს)

თავუნა

ფერის ცვალება.

ჩვენ სამში იმ ერთმა სულყველას მოასწრო! (რას იხამ! შეჭფერის...)

ყოჩალი ბიჭია!!!

იფიქრა: — ჩოხ იახში! უთუოდ კია დრო!

(შორს გამქვრეტლობისა)

შესწევს მას ნიჭია!)

— სომხეთმა დამასწროს, ან საქართველომა

ხომ თავი მომეჭრა,

ხომ ბედი დავკარგე?!)

ეპ, ყარაიხის იხაროს მდელიომა!..

ვიშ რა რიგ კობტაა,

რა ტურფა, რა კარგი!

ყარაბახს... მოჰყვება თან ზანგეზურიცა...

(სიზმარში ერთხელაც)

მან ბევრი იწვალა!!)

— აწ ნავთიც მექნება, ყველიც და პურიცა...

(ამ ანგარიშებით)

მყის ფერი იცვალა!!)

და გუშინ ყურყუმა, შავი ვით ყორანი,

დღეს წითლად მოირთო

რუსეთის ფერადა

მან კომუნისტურათ განმარტა ყორანი

მეგობრებს ეკვთა

მოსისხლე მტრებათა.

„საბჭოთა რუსეთმა“ უბოძა წყალობა, როგორაც შეჭფერის ძმის მოლაღატესა:

პირველი ხარისხის „ზე-მაჩანჩალობა“ (მოიმკო ყმაწვილმა რაც მტრობით დასთესა!)

და აი დახედეთ, „საბჭოთა ბაქოსა“ მოსკოვის კრემლიდან რომ ელის ძალასა...

ოჰ რა ეშმაკია, რა ცრუ და რა ქოსა!...

(ყაზახსაც დაჰკარგავს...)

თან ზაქათალსა!)

მე მომწონს ეგ ხალხი... ღრმა პოლიტიკოსი!

(ნავთში რომ ჩაავდო)

ამოვა მშრალადა!)

გულადი... (უშეტეს კურდღლისა კიკოსი)

მას ფერის გამოცვლა

არ უღირს ჩალადა.

თუ კი რომ სიწითლედ სირცხვილით ჰფენოდა,

არ გავიკვირვებდი...

ეგ შესაფერია...

მაგრამ მას ლალატის აროდეს სცხვენოდა

ეს ქტრკიც, ... წითელი,

მით შეუკერია.

და აღირბეჯანმა როდესაც გაიგო,

როდესაც იხილა,

რა ბედი ელოდა,

როდესაც დარწმუნდა რა მახე დაიგო

ეს ფერისცვალება

ემძიმა, ელოდა.

და კვალად ეცვალა მას ფერი წითელი

გაფითრდა... გალურჯდა...

გაყვითლდა... გამწვანდა

სამსჯაეროს წინაშე სდგას განუკითხველი

მან ბედი წააგო,

ლალატი წამწარდა...

ჩვენ სამში იმ ერთმა ორი სხვა დასცარა...

სულყველას მოასწრო

და მოძმეს ზურგიდან

გაწითელფერება.

მახვილი დასცა რა,

დღეს შიშით ფერწასულს

თვალთ ცრემლი ერება.

ეშმაკი.

პატარა ფელეტონი

სიცილის მსხვერპლი.

როდესაც ჩემი მტრები მხედებიან, ჩემს მომლიმარ სახეს დაინახავენ, ჩემს ტკბილს სალამს მოისმენენ, ჩემი მარჯვენა ხელით თავის მარჯვენა ხელს საკმაოდ ღონიერ მასსაყს გაუკეთებენ, სა-

ბოლოთ რწმუნდებიან, რომ მე მათი უგულოთა-
დესი მეგობარი ვარ.

ასე—იყო ონისიმე ნაცარაძეც.

მე კი ჩემს მტრებს ყოველთვის ფუცინი, რო-
გორც საზოგადოთ ყველა თქვენგანი, მაგრამ გუ-
ლის სიღრმეში ბოროტების კოცონს ვანთებ, რომ
დავსწვა და ჩავხრუკო შიგ ის საზიზღარი.

ეს ასეც უნდა იყოს! მაშ თუ მტერმა მტრათ
გიცნო, როგორ შეიძლება მის მოტყუებას!

ონისიმეს მე მხოლოდ მისი სიცილისათვის
გადავემტერე. არ მაქვს წარმოდგენილი ისეთი სი-
ხარული, ისეთი ბედნიერება, რომელიც არ მომი-
წამლოს ონისიმეს სიცილის გაგონებამ. თუ რამ-
დენი მშვენიერი საღამო, რამდენი მშვენიერი სა-
დილი, რამდენი ტკბილი მუსაიფი მომიწამლა და
დამაკარგვინა მე ონისიმეს სიცილმა. ამის ანგარიში
შორს წავგიყვანდა. მისი მოკვლა აგერ ოცდა ათი
წელიწადია გადაწყვეტილი მაქვს და დღემდე სი-
სრულეში ვერ მოვიყვანე.

მე კი ვიცი, რომ ონისიმეს სიცილი ძლიერ
სწყენს. ის უთუოდ სიცილს უნდა მოეკლა—ეს
ჩემთვის აშკარა იყო, საუკეთესო ექიმმა უთხრა
მას:

— რაც მეტს იცინებ, იმდენათ უფრო დაი-
კლებს შენი სიმსუქნე და გაჯანსაღდებიო.

გუშინ იორდანესას შეეხვედი ონისიმეს. ჩვეუ-
ლებრივის ალერსიანი ღიმილით მივედი და მივე-
სალმე.

— ოჰოოო... ჰო, ჰო ჰჰა—ჰა—ჰაააა!, გა-
დაიხარხარა ონისიმემ ჩემს საღამოზე—საიდან სა-
დაო, ჩემო მეგობარო! ჰო, ჰო, ჰო, ჰო ჰო ჰოოო.

— არსაიდან ამხანაგო! მოვედი ისე...

— ჰო, ჰო, ჰო... ჰოოო! არსაიდან როგორ
შეიძლება... ჰო, ჰოოოო... ახალი რა იცი?

ჩემს გულში უკვე დაენთო ბოროტების ცეც-
ხლი. გადავსწყვიტე ონისიმესათვის ბოლო მომე-
ლო. მე ვიცი, რომ თითოეულ სიტყვას იმან ორ-
მოცი „ოჰოჰო“ უნდა მიაყოლოს. ონისიმე მეტის
მეტად მსუქანი კაცია, ძლივს დადის. მეეტლე ყო-
ველთვის ორმაგ ფ სს ახდევინებს. სულის თქმა
უჭირს, ღამე მის ოთახში ოთხი დაზიანებული
ორთქლმავალი მუშაობს, გეგონება, ისეთი ხრიალი
ისმის იმისი ბუმბერაზი ორგანიზმიდან. ექიმსაც
რომ არ ეთქვა „სიცილი გიხდებოა“, მე ისედაც
ვიცოდი რომ მას სწორეთ სიცილი მოკლავდა.

— ახალი ამბავი რამდენიც გინდა, ჩემო
ძვირფასო!

— რამდენიც მინდა? ოჰო, ჰო, ჰო! ოჰო—
ჰოოო... რამდენიც მინდა იმდენია! ჰო, ჰო, ჰოოოო!
უჰუუუ...

— მარტო ის რათ ღირს, რომ აღირბეჯანი...

— აღირბეჯანიო! ჰო, ჰო, ჰოოო! აღირ-
ბეჯანი ჰუუუ...

— აღერბეჯანი გაკომუნისტდა...

— რაო? გაკომუნისტდა? ჰუ ჰუ ჰო ჰოჰუუ...

გაკომუნისტდა ჰაააა ჰო ჰოოო.

— საბჭოთა რესპუბლიკა გახდა...

— რაო? საბჭოთაო? ჰა ჰა, ჰა ჰუ ოჰოოო—

ბიჭოს, მიშველეთ უჰუუუ ჰუუუ!

— ფედერატიული, სოციალისტური.

— რაო? ჰო...

ონისიმეს ფერი წაუხდა, სკამზე შეტორტმან-
და, ერთხელ კიდევ დაიძახა ოჰუუუო და თვალე-
ბი დახუჭა, მაგრამ ჩქარა ისევ გაახილა და თითქო
გამოფხიზლდაო განაგრძო.

— რას ამბობდი, ფედერალისტურიო, ჰააი შენი
ქირიმე, უჰუუუ. ოჰო ჰააა.

— წითელი აღირ ბადრიჯანი რაღა...

— რაო? წითელი ბადრიჯანიო? ჰო, ჰო, ჰო, ო.
ჰაჰაააა!...

ონისიმე მეორეჯერ შეტორტმანდა და წასაქ-
ცევად განემზადა. მე მას გაფაციცებით ვაღვენებდი
თვალს და მობრუნების საშუალებას არ ვაძლევდი.

— კომუნისტ ბადრიჯანი ბურადა ოღლი მინის-
ტრათ ყავთ...

— რაო. ჰააააა. ჰოოო...

ონისიმე წაიქცა და თვალეები სამუდამოთ და-
ხუჭა.

იორდანესას დიდი ამბავი შეიქნა. დიასახლისმა
ნელი ხმით ტირილი დაიწყო. მეც ცხვირსახოცი
ამოვიღე და თვალეებზე მივიღე. საერთო მწუხარება
გამეფდა. ბავშვი ექიმთან აფრინეს, მაგრამ უკვე
გვიანლა იყო.

ექიმმა დაასკვნა ონისიმეს სიკვდილი.

— მეტის მეტათ მსუქანი კაცი იყო და ცხადია
გული გაუსკდა, ალბათ სამწუხარო რამე შეხვდა.

— დიას ბ-ნო ექიმი, მიუგე მე,—აღერბეჯანის
გადადგომის ამბავი გაიგო და უთუოდ იმან იმოქ-
მედა.

— ასეა ყოველთვის მგრძობიარე ხალხი. მაგას
უთუოდ ასეთი ბოლო მოელოდა. სიკვდილი აუ-
ცილებელი იყო. ერთად ერთ სიცილს შეეძლო
ეხსნა განსვენებული ამ განსაცუელისაგან.

— აბა! რამდენი ხანია ვატყობდი საბრალოს,
რომ მისი ხსნა მხოლოდ სიცილში იყო, დავსძინე
მე და თვალეებზე ცხვირსახოცი მივიფარე.

აღერბეჯანის გაკომუნისტებამ ეს ერთად ერ-
თი სარგებლობა მომიტანა.

მორიელი.



შექანჯალებულის ლექსები.

ჰაში, ხარო, ჰაში, ჰაში!
 ჯუ, ჯუ, ჯუ! ჯუ! ჰაქში, ჰაქში...
 დიპტო-პიტომ, ტაში ტაში!
 ვბტივარ, ვცმუკავ როგორც ბავშვი,
 ტვინი არ მეტევა თავში,
 გული—მკერდის გალიაში,
 მტკივა მე ჭკუის ქარქაში!...
 არ ჩამაბათ თოკი რქაში!..
 ეს რა არის, რა მოგვეწრო,
 რა ხანაა, რა ჟამი, დრო,
 ეს რა მოხდა, არის ეს რა?
 ვისაც სურდა ჩვენი მოსრა,
 ამისთვის თავს არ შურავდა,
 ჩვენსკენ სამტროდ მოსკურავდა,
 დღეს შეგვეკრა იგი ზავით,
 „კეთილ გულით და არ ავით“;
 ვის არ ახლავს ჩიჩერიანი,
 ჩვენი მტრობით შენარინი,
 ჩვენზე რამდენ იბოროტა,
 მოგვათოვა გიჟი ნოტა...
 (ეხლა კი რად შეაბოტა?)
 შეგვიწუხა გეგეჭკორი,
 განა ერთი, განა ორი
 მას ნოტები გამოსტყოვა?
 (მისი თავი დორმა მთხოვა!)
 მაგრამ, მითხარ, რა დაგვტყოვა—
 ფახა—ფუხით და მუქარით,
 კიდევ შამოგვერტყა ჯარით
 ჩვენ შეყლაპვას ის ლამობდა.
 ლენინ სულ სხვა გვარ ომობდა:
 მოგვისია ყაჩაღები,
 (ვის ჭკვას არ აქვს გასაღები)
 თავზე ხელ-ფეხ ანაღები
 მაგრამ ვაქამეთ ნაღები,
 (ვუბნელეთ შვების თაღები)
 მოჭკურცხლეს, დარჩათ წაღები,
 ჩაუქრათ ლხენის ქაღები...
 ვინ უწყს, თავი რას არ ჰხეთქეს
 ვინ უწყს რა არ აგვიფეთქეს,
 მაგრამ აპკი გაუხეთქეს
 იმათ რჩეულ ვაჟბატონებს,
 დღეს ჩვენში ხომ არვინ ჰმონებს,
 (მათ კი ეს გულს, ვაჰ, უღონებს)
 იმას ვინ არ მოიგონებს,
 პირველ მაისს რაც რომ მოხდა,
 საწყლებს, უჰ, რამდენი მოხდა
 რისხვით მთვრალი მძლე მუშტები,
 გაუხეთქეს თლად ბუშტები,
 გაუერთეს ძვალი, რბილი,
 და ორი ავტომობილი

დარჩათ ოხრად, უპატრონოდ,
 (ეს როგორ არ მოვიგონოთ?)
 ჰო, და ლენინ—ჩიჩერინმა,
 ჭკვაზე შემცდარ—შენარინმა,
 სცნეს რა თვისი გეგმა—თაღები—
 —აქ არ ჰყავდათ მომხრე ხაღები,
 სცნეს—ძალით ვერ დაგვიპყრობდენ,
 (ამას წინედ კი ფიქრობდენ,
 თვალსაც ასე მოგვაპყრობდენ.)
 გამოგვიცხვეს ტურფა ზავი—
 —სიყვარულის, ტრფობის ზავი,
 ჰა, ჰა, ჰა, ვყვავი, ყვავი!..
 ღმერთმა მთხოვა მათი თავი!
 და თუ კი მათ ძმობა უნდათ,
 თუ ჭკვა ისევ მოუბრუნდათ,
 თუ მზად არ აქვთ ქვა-და გუნდა,
 ჩვენთვის მძიმე დრო-ჟამისთვის,
 ჩვენც მზადა ვართ ძმავ ამისთვის,
 ვინაც კი გამოგვიწვდის ხელს,
 ლად ქართველებს—ყარაჩხელს,
 ვინც მოგვივა საშეგობროდ,
 და არ სამტროდ, სამეკობროდ,
 მეგობრობაც ნახონ ჩვენი,
 მთელი ქვეყნის დამამშვენი,
 ძველის ძველიდან განთქმული
 (ჩემს ცოლს არ ჰყავს, საწყალს მული)
 ერთგულობით მოკაზმული.
 ნანი, ნინა და რანუნი...
 ამიტყდა ჭკუის ბრახუნი,
 ჩემს თავში ცეკვავს გლახუნი,
 როგორც ქაღებში სანინი
 მანჯურია და ხარბინი
 მიხარია და ვიცინი,
 დღეს ლხინი გემართებს ჩვენ, ლხინი,
 ჩვენი სიძეა ლენინი
 ეს რა გვამცნო გაზეთ „მშაკმა“,
 იმ ცულლუტმა და ეშაკმა:
 ლენინს თურმე ქართველის შვილი
 ზინაიდა კვიტაშვილი,
 შეურთავსო უკვე ცოლად,
 (ალბად, გვერდზე მოსაწოლად)
 და თვის ცოლის საგამზრდელოს,
 ტურფას და ლად საქართველოს,
 ჯილდოთ უძღვნა ლალი ზავი,
 (კარგი არის ნათესავი
 ჭირში, ლხინში საესავი)
 მაშ, ჩვენ მისგან აწი ავი
 დაგარწმუნებთ, არ მოგველის,
 მას ტ-ფობა აქვს აწ ქართველის,
 ზავით ის არ გვეხუმრება,
 და თუ სიძე ესტუმრება
 თვის სიმამრსა--თვალის ჩინი
 (ამ შემთხვევაში ლენინი)

გვმართებს შვება, გვმართებს ლხინი,
(თან მზად გვქონდეს ბალდახინი)
აგს არ ჰკადრებს სასიამოროს;—
—ამგვარ ზაკვით ვინ იმამროს?!
ჰო, და თუ მოვა ლენინი,
მშვიდათ და არ შენარინი,
მას თუ მოყვეს მაყრად ტროცკი
(მზად კი უნდა გვქონდეს როზგი).
მაგრამ არა, რა ვსთქვი, უჰ, მე!
ზინაიდა იმას თურმე
ქალაქ მოსკოვში შეურთავს...
(ახლა აღბად კიდევ ურთ...)

III

ელის მელის, ელის მელის,
მიყვარს ლოკვა ერბო-ყველის,
წუწუნა ტიკის, ტუჩებ სველის,
და ტარება პალტოს ძველის,
(ჩემი ბიჭი ლეკვებს სწველის)
ტაში, ტუში, ელის, მელის,
ჩვენი რუსნი დღეს ვის ელის?
— ელოდა, მელოდა,
დენიკინლებს ელოდა,
მაგრამ დენიკინლები,
ტროცკიმ გაამელოტა;
ელოდა, მელოდა,
ბოლშევიკებს ელოდა...
მაგრამ ბოლშევიკთაგან
ზავს აღარ მოელოდა...
ელოდა, მელოდა,
პელო, ელო, მელო და...
ჩვენი რუსნი გენაცვალეთ.
აბა, ვის არ ელოდა?
ელოდა, მელოდა,
სძულთ მათ საქართველო და...
დაღუპულ იმედებმა
ყველა გაამელოტა...
ელიან, მელიან,
ვისლა ელოდებიან?...
— აღარავის! საწყლები
ჯავრისაგან კვდებიან...
ელიან, მელიან,
როდის დაწყნარდებიან?
რალა გითხრათ გენაცვალე —
აღბათ, რომ მოკვდებიან!
ელიან, მელიან,
ჩვენში სხვებს ვერ სწველიან...
თუ არ ვსურვართ, არ მოვწონვართ,
კარგია თუ წაველიან...

IV

არიმჯანი, თურიმჯანი,
სუბს წავაქრათ ბადრიჯანი,
და მოგვივა ღონე, ჯანი,

ფლოვი და აჯაბსანდალი,
აზებრეიჯანს სკანდალი
შიშისგან გასძვრათ სანდალი,
დაიწყეს ცახცახ-კანკალი...
ნა ვარ, სოილე, ყარდაშ, ჯანუმ!
ყირმიზ ადერბეიჯანუმ,
იაშასუნ ფადიშაჰ,
სულ თან ლენინჯან ბეშინჯი,
ლაბლაბნო! ჰკუა მოსინჯი?
სჯობდა გეჭამა თქვენ ბრინჯი,
შეგიჭამეს რესპუბლიკა,
ნაცვლად გაჭამეს პუბლიკა
ვაი, ჯანუმ, წახლა ფლოვი...
თქვენ შეგიჭამეს, ჩვენ კი—ზავი.
რათ დაგვიწყეთ ძიანო, ომი,
შეგაჭამოთ უნდა ღომი
ღორის ქონში ამოსვრილი...
თქვენ ჰკუა გაქვთ ყველას გრილი,
აბა, მიმართეთ ლენინ—ხანს,
თავის კოსროს ის ვერ მოგფხანს,
იმას ნავით სურს ცისტერნი,
თქვენ რად დარჩით ეგზომ შტერნი,
ყინულზე რომ გაგაცურეს,
მეგობრებს სისხლი გვასხურეს,
მაგრამ ხომ დავაფაფხურეთ,
აბა, მოიცათ, გვიყურეთ,
თუ ზურგი არ გაგიხეხეთ!!
რა იქნა ის მეგობრობა,
გუშინ რომ აღგვითქვით ძმობა,
არ გაწითლდება ყორანი
რა გინდ რო ხეხო ქვიშითა,
სად, თქვენ, სად სოციალიზმი,
თქვენ სულ მდარე ხართ ჯიშითა,
თქვენ ზურგზე მალაყს გადავლენ,
ბალშევიკ—თათარ—ხანები,
მოსავალს თქვენ ვერ მოიმიკით,
ადრე წავიხდათ ყანები.
რაც არ გწამთ, არ გაგეგებათ
იმას ვერ ეთაყვანებით,
ვერ გაწითლდები აზერბეჯ,
თუმც სისხლში კი იბანები...
შახსეისათვის გიჯობდათ
ხანჯლებ—ხმალ—ბებუთ დანები.
სჯობია ადრე მოგვშორდეს
ბილწები, თქვენისთანები;
ვინც მოკავშირეს არ ეძებს,
იგი თავისა მტერია,
ვინც თვალს აქა—იქ აცეცებს,
იგი სულელი, შტერია...
აჰა, ერია ბერია,
ჰკვა ვგრძნობ თლად ამერია
ჰერი ბიჭო და, ჰერია,
მტრებს ხომ ვადინეთ მტერია

შექანჯალებული.

რევოლუციის გაღმავება.



ჩაიგდო თუ არა ხელში მართვა-გამგეობა, მიტიუხა შეუდგა სოციალისტური რუსეთის კონტრე-
 ვოლიუციურ ბურჟუაზიისაგან გაწმენდას. უპირველეს ყოვლისა დაიდგა სუფრაზე ერთი ბოთლი არაყი
 და ჩამწკრივებინა წარჩინებული ბობოლები.
 მიტიუხამ გადაჰკრა არაყი და ბრძანა:
 — დახვრიტეთ!
 კონტრევოლიუციური ბურჟუაზია დახვრიტეს.



მიტიუხამ შემოიდგა სუფრაზე მეორე ბოთლი არაყი და ჩამწკრივებინა რუსეთის არისტოკრატია.
 გადაჰკრა მეორე ბოთლი და ბრძანა:
 — დახვრიტეთ.
 კონტრევოლიუციური ბურჟუაზია დახვრიტეს.



შემოიღვა მესამე ბოთლი და ჩამწკრივებინა მეცნიერები და სტუდენტები. გადაჰკრა მესამე და ბრძანა:

— დახვრიტეთ!
კონტრრევოლიუციური ბურჟუაზია დახვრატეს.



მეოთხე ბოთლი. ჩინოვნიკობა.

— დახვრიტეთ!
კონტრრევოლიუციონური ბურჟუაზია დახვრიტეს.

თანასწორობის პრინციპი.

— წარმომადგენლებია, ბატონო! მოახსენა მსახურმა ქალაქის გამგეობის წევრს, ბატონ ონისიმე მშვილობაძეს.

— ვინა?

— ვილაც ორი ქალია. წარმომადგენლები ვართო, — ამბობენ.

— ლამაზებია?

ბიჭმა გაიცინა.

— სთხოვე, — მობრძანდნ.

მსახური გავიდა. ონისიმემ უღვაშები გაისწორა, შუბლზე ხელი გადაისვა და ქალაქის თავის მაგიდაზე ჩამოჯდა ძვირფასი სტუმრების მოლოდინში.

ამ დროს კარებიც გაიღო, და წარმომადგენლებიც გამოჩნდნ.



მეზუთე ბოთლი. ვაჭარ-მრეწველნი.
 — დახვრიტეთ!
 კონტრევოლიუციური ბურჟუაზია დახვრიტეს.



მეექვსე ბოთლი. მოწაფეები.
 — დახვრიტეთ!
 კონტრევოლიუციური ბურჟუაზია დახვრიტეს.

ონისიმე ისინი თავაზიანათ მიიღო და სკამე-
 ბი შესთავაზა.

— გმადლობთ... დასაჯდომათ არ გვცალია, რი-
 ხიანათ წარმოსთქვა ერთმა წარმომადგენელთაგანმა,
 მანდილოსანმა ფრიად მაღალმა და მოხმომ. ჩვენ
 ქალაქის პირველ-დაწყებითი შკოლების მდებარეობი-
 თი სქესის მასწავლებელთა წარმომადგენლები ვართ!

— რითი შემიძლია გემსახუროთ? ტკბილათ შეე-
 კითხა ონისიმე.

— ჩვენ საქალეზო გიმნაზიაში გვინდა გადასვლა.

— ჩინებული აზრია! მომწონს თქვენი განზრა-
 ხვა. საჭირო ცოდნის შეძენა უპირველესი საქმეა
 ჩვენს დროში. საბედნიეროთ ეხლა საამისო საშუ-
 ალებაც აქვს ადამიანს, ვინაიდან რესპუბლიკის
 სათანადო კანონის ძალით ჩვენს სასწავლებლებში
 ყველას იღებენ, განურჩევლათ წლოვანებისა და
 ოჯახური მუგომარეობისა. სულ სხვა პირობები
 იყო ძველი რეჟიმის დროს...



მეშვიდე ბოთლი. ხელზე მოსამსახურეები.
— დახვრიტეთ!
კონტრრევოლუციური ბურჟუაზია დახვრიტეს.



მერვე ბოთლი. მეეტლები, ქუჩაზე მოვაქრეები, მეგაზეთეები.
— დახვრიტეთ!
კონტრრევოლუციური ბურჟუაზია დახვრიტეს.

— უკაცრავათ, ბატონო ონისიმე, მაგრამ, როგორც სჩანს, თქვენ ვერ გაიგეთ ჩვენი აზრი, — ჩვერია ლაპარაკში მეორე წარმომადგენელი ბანოვანი პირველ წარმომადგენელზე უფრო დაბალი და მომსუქნო, — ჩვენ უცენზო მასწავლებლების წარმომადგენლები როდი ვართ... ჩვენ ცენზიანების დავალებით გვახელით აქ. ჩვენ მასწავლებლობა გვინდა გიმნაზიაში.
— მასწავლებლობა?! ვაკვირვებით წამოიძახა ონისიმემ.

— დიახ, დიახ!
ონისიმემ თავი შეიფხანა.
— კი, მაგრამ... განა იქ არის თავისუფალი ადგილები? მე მგონი — არ არის.
— განათავისუფლეთ! მოკლეთ მოუქრა, მას პირველმა წარმომადგენელმა, მანდილოსანმა ფრიალ მაღალმა და მოხმომ.
— ეგ როგორღაც...
— არავითარი „როგორღაც“ აქ საჭირო არ



შეცხრე ბოთლი. სამღვდლოება.
 — დახვრიტეთ!
 კონტრრევოლიუციური ბურჟუაზია დახვრიტეს.



მეათე ბოთლი. ებრაელები.
 — დახვრიტეთ!
 კონტრრევოლიუციური ბურჟუაზია დახვრიტეს.

არის! ჩვენც ისეთივე მასწავლებლები ვართ, როგორც ისინი არიან. ჩვენც საშუალო სასწავლებლები გაგვითავებია და იმათაც: ჩვენც „გიმნაზისტები“ და „ეპარხილკები“ ვართ და ისინიც. კარგია-მათმა მზემ—იგინი იქ, გიმნაზიაში დასკუბულან არხეინათ, და ჩვენ კი... არა, ბატონო ონისიმე, უსამართლობა ძირ-ბუდიანათ უნდა მოისპოს! თანასწორობის პრინციპი ცხოვრების ყოველ დარგში უნდა გატარდეს. სამართლიანობა და თანასწორობა!—აი ჩვენი დევიზი.

— თანასწორობის პრინციპის ცხოვრებაში გატარება კარგი საქმეა, წყნარათ დაიწყო ონისიმე, მაგრამ მისი ისე გამარტივება, როგორც ამას თქვენ შვრებით, ყოველათ შეუწყნარებელია... ტენიკურადაც არ შეიძლება მისი განხორციელება, რადგანაც ასეთი ექსპერიმენტი დასაწყისშივე გამოიწვევს ცხოვრების საზღაპროთ გაძვირებას, რაც თავის მხრით საფუძვლათ დაედება სამოქალაქო ომსა და ანარქიას.



მეთერთმეტე ბოთლი. ვლებები, მუშა-ხელოსნები, მოხოვარები.
 — დახვრიტეთ!
 კონტრევოლიუციური ბურჟუაზია დახვრიტეს.



კონტრევოლიუციური ბურჟუაზიისაგან გაიწმინდა რუსეთი. დარჩა წმინდა-წყლის კომუნისტური მასსა.

მიტიუხამ გადაჰკრა მეთორმეტე ბოთლი, მაგრათ ჩამოართვა ხელი და წარმოსთქვა;
 — ძლივს არ ვიპოვე ამხანაგი! გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა რუსეთს!

აქ ონისიმემ საბუთების მთელი წყება მოიყვანა ამ აზრის დასამტკიცებლათ, მაგრამ ამაოთ: ქალები თავისას გაიძახოდენ—სიმაართლე ჩვენკენ არის, და ჩვენ მას ფებ-ქვეშ არავის გავათელივინებთო. ონისიმემ მხრები შეაქანა.

— რა გაეწყობა, სთქვა მან,—სცადეთ... მაგრამ მე არ ვიცი—ჩვენ რითი შეგვიძლია დაგეხმაროთ ამ საქმეში? მასწავლებლებს გიმნაზიაში სამოსწავ-

ლო უწყება ნიშნავს, და ჩვენ უფლებ- არა გვაქვს აქ რაიმე გადაჯგუფება მოვხდინოთ.

— თქვენ შეგიძლიათ მოლაპარაკება გამართოთ სამოსწავლო უწყებასთან და მასთან შეთანხმებით მოაგვაროთ ეგ საქმე, განუმარტა ონისიმეს მეორე წარმომადგენელმა, ბანოვანმა პირველ წარმომადგენელზე უფრო დაბალმა და მომსუქნომ.

— პირადათ მე ვერაფერს დაგპირდებით. ეგ

კითხვა საბჭომ უნდა განიხილოს, და ამიტომ საკი-
როა-თქვენი მოთხოვნა წერილობითი შემოი-
ტანოთ.

წარმომადგენლების სახეზე უსიამოვნების ჩრდი-
ლმა გადაიბინა.

— აქ არ შეიძლება დავსწეროთ? მორიდებით
მიმართა ონისიმეს მალაღმა წარმომადგენელმა ხან-
გრძლივი პასუხის შემდეგ.

— აქ...

— აქ იმით, რომ პატარას თქვენც დაგვე-
ჩარებოდით ტექსტის შედგენაში. ჩვენ ვერა ვართ
ასეთ საქმეებში მაინცა და მაინც დახელოვნებუ-
ლნი, გულწრფელათ აღიარა მომსუქნო წარმომა-
დგენელმა.

— დიდის სიამოვნებით დაგეხმარებოდით, მაგ-
რამ... იცით რა: თქვენ ხომ იცნობთ ჩვენს მდი-
ვანს, პავლეს?..

— მართლა, პავლე დაგვიწერს!! სიხარულით
წამოიძახეს ქ-ლებმა და იმ ოთახისაკენ გაიქცენ,
სადაც გამგეობის მდივანი ეგულვებოდათ.

ონისიმე მარტო დარჩა გამგეობის ოთახში.

— რითი შეიძლება აიხსნას ეს გარემოება? და-
ეკითხა ის თავის თავს და ღრმათ ჩაფიქრდა.

— მხოლოდ შურიანობით! წამოიძახა მან ხან-
გრძლივი დუმისის შემდეგ და თან ნაღვლიანი
ღიმილით დასძინა: — ეხ, ქალებო, ქალებო, რათა
ხართ ასეთი შურიანები, რათა?!

d

ქუთაისი.

ქუთაისის კეთილდღეობა არა მარტო ადგილობრივ ქუთათურ მოღვაწეთა გულისა და გონებას
იპყრობს. მასზე ფიქრობს ჩვენი ცენტრალური მრავრობაც. სწორეთ ამ უკანასკნელმა დაუნიშნა მას
ისეთი დამსახურებული თავი, როგორც პატივცემული დიომიდე თოფურიძეა, რომლის სურათი ჩვენ
ამას წინათ გვქონდა მოთავსებული ჟურნალში.

ქუთაისის აყვავება რასაკვირველია მარტო დიომიდეს არ მიეწერება, არამედ ქალაქის დანარჩენ
თავდადებულ მოღვაწეებსაც. მათ შორის ცოდვა იქნება არ აღინიშნოს:



ბ. თოფურია. (თითქმის პეტრე დილია!)



ტრ. ჯაფარიძე

დაძფუძნებელი კრება

თანამზად ამ ორი დეპუტატის თხოვნისა, მათ სურათებს ერთად ვათავსებთ.



ვარ. ტერ-სტეპანიანი. (დაშნაკ.-ცაქანი.)



სპირდონ კელია (ნაკ. დემ.)

სერგო რობაქიძე.



ს. რობაქიძე. ებლოვ გავანადღურებ!..

ბალშევიკების განგაძი.

თქმულა: „თუ კარგი არ ძაღვიძს, ავს მაინც ნულარ იზამო, რომ დილა წყნარი, ღამაში ამით არ ჩამოიღამო“!

ბალშევიკების საქმენი აბა მე როგორ ვიწამო?
 ნაომრად გადააქციეს მთელი რუსეთის მიღამო!
 დიდი ხნის ნატვრა-სურვილი, ოცნების დანაკვესები,
 ზაფხულში უნდა მოგვემკო ზამთარში დანათესები,
 მაგრამ ერთმანეთს დაეცნენ კბილით-კბილ-განალესები,
 თორმეტ საათად შეცვალეს რვა საათისა წესები!
 მუშისგან მუშის გათიშვა გულში გაიჩნდა იარად,
 ლენინი ენვერ-ფაშისა გამხდარა თანაზიარად!
 დროს უკან ატრიალებენ, ესა მაქვს სამგლოვიარად!
 ამნაირ ატმოსფერაში აყვავდებოდა ია რად?!
 გაბერილმა ბალშევიზმმა იმდენი დღე გააგრძელოს,
 რამდენიც გზადაზნეულმა ოსმალებმა მას უშველოს!
 თუნდა თავში ქვა უხლიათ, ხელი უშვან საქართველოს,
 თორემ, ვგონებ ბედისწერამ ორივეს მზე დაუბნელოს!
 ბევრჯერ შავი დღე გვინახავს მტრებისაგან განაწირებს.
 მაგრამ ბედი უწყველიათ თავი ჩვენგან განაგმირებს!
 ეხლაც იმგვარს პასუხს გავცემთ ვინც შელახვას დაგვიპირებს!
 არ გავტეხავთ სამშობლოსთვის ჩვენს ფიცსა და დანაპირებს!
გიგო გვარდიელი.

გურული სტენა*) („იტინხატი“)

- გამარჯობა შენი გოგია!
- გაგმარჯოს ღმერთმა თუ კაი კაცი ხარ...
- ახალი ამბავი იცი, გოგილა?
- რაია აწი!
- ბალშევიკებს ბაქო აუღია...
- რაფერ, ასთე უცფათ კაცო?
- რაფერ, და შემოსულარიენ პირდაპირ...
- კი მარა თათრებს შამუუშვია?
- მგონი აქანე ლალატი უნდა იყოს თათრების პარტიეს...
- რა პარტიეა ნეტაი?
- „იტინხატი“.
- ვაი, ძამია, ჯერე კაი ხატი რას იზამს და ფინთი ხატის პარტიე რა იქნება?
- ფინთი ხატი კი არა კაცო „იტინხატი“
- იგინს უღალატია და იმიზა უუღია ბალშევიკებს ასე მალე ბაქო?
- შენი აზრით ბალშევიკებს უუღია ბაქო?
- აბა ვის?
- ვის და ბაქოს უუღია ბალშევიკები.

რ. ჯიბილ.

ქუთაისის ავ-კარგი.

კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს,
ავი რა გასაკვირია!..

22 აპრილი ქუთაისის ცხოვრებაში ახალ ხანად უნდა ჩიითვალოს!.. ამ დღიდან მუშათა მაგიდა შეუდგა მუშა-მოსამსახურეებზე თითო გირვანქა „პურის“ დარიგებას სულზე. მაგრამ, ვინაიდან ქუთაისის მოქალაქის კუჭი დიდი ხანია გადაეჩვია წმინდა პურის ჭამას, ამისათვის-პიგიენური მოსაზრებით-უკანასკნელი ჯერ-ჯერობით „მქად-ნარევი“ ცხვება. 50% პურია, დანარჩენი კი გაუცრელი მქადი.

ამბობენ, მუშათა მაგიდას განზრახვა აქვს შემდეგში, როცა მოქალაქის კუჭი ცოტათი გამომჯობინდება, პურის რაოდენობა ნარევიში 20% აიყვანოსო. სწორედ დიდი ბედნიერება იქნება!.. ახლა კი ამ ამბით აღტაცებულ მუშა-მოსამსახურეებში სწორეთ დოღი იმართება კოოპერატიულ ფურნისა-კენ: ვინც მოასწრებს დილის 8 საათზე და რიგში ჩადგება, მას იქნება ელირსოს ბედნიერება და მიიღოს „პური“, თუ არა და ცარიელ-ტარიელი დაბრუნდება შ-ნ. 11 ან 12 საათზე, ამაში, რასაკვირველია, მუშათა მაგიდას ბრალი არ მიუძღვის: ცხოვრება ბრძოლაა და მასში მხოლოდ ის გამოდის გამარჯვებული, ვინც ძლიერია. ასეთია ბუნების უღმობელი კანონი და მუშათა მაგიდა მასთან ბრძოლაში აბა ქრას გახდება!..

სან-ჩო.

*) წაკითხული 1 მაის ვერის მუშათა კლუბში.

თფილისის ღვპო.

მემანქანის თანაშემწეს თხილავას დაუჭირეს ორ-
 თქლიმავალზე ვინტოვკის პატრონები, როდესაც მას
 ის აზერბეიჯანში გადაქონდა. ზოგიერთი ბოროტი
 ენები ამბობენ, ის მიტომ დადის დაუსჯელათ, რომ
 მას დახმარებას უწევს სექციის თავმჯდომარეო, მა-
 გრამ ირკვევა თხილავას კეთილი რევოლუციონური
 განზრახვანი რაც მდგომარეობს იმასში რომ ის აი-
 არალღებდა აზერბეიჯანის დემოკრატიას რათა ის

კომუნისტებს შებრალოებოდა და, რომ ის არ და-
 ეჭირათ დღეს შეიძლება ბაქოში ბალშევიკები არ
 შემოეშვათ. რათა ზემოაღნიშნული დავიწყებას არ
 მიეცეს მემანქანეთა და მათ თანაშემწეთა ერთმა
 ჯგუფმა დაადგინა: გამოეცხადოს მადლობა ამხ. თხი-
 ლავას და მის დამხმარეთ, მოეხსნას მას კონტრაბა-
 ნდისტის სახელი და ისინი კი ვინც ის დაიჭირა და
 მის რევოლუციონურ სახელს ჩირქი მოსცხო იყოს
 პასუხის გებაში.

ყოფილი.

III ინტერნაციონალი.



რუსი-კომუნისტი. დამპალი ევროპას მოლალოტე პროლეტარიატი წარ არის ღირსი ჩვენს ოჯახში შე-
 მოსვლისა. ჩვენ დავამყარებთ სოციალიზმს აზიის ქვეყნებში და შემდეგ ევროპასაც მოვფენთ კომუნისტების
 სხივებს!